

# სასტუმრო და ავარტამენტების ჯომავლასი

განუხიანების რეგულირების გეგმის პროექტი

ბორჯომის რაიონი,  
ლაბა გაჯურიანი,  
"ცაქავერის  
მიმდებარედ"

სახელმწიფო ჯომავლი:

64.30.01.015  
64.30.07.035

პროექტის ავტორები:

მთავარი არქიტექტორი  
სალომე ავალიანი

თანავტორი  
ნესტან აღვაძე

შემსრულებელი  
ელენე ხაბიშვილი



გამოყენებული სახელმძღვანელოები	1
გვგარეხიტი დავალაბა	2
საბალსტრო გვგარეხი და ამონაბერი	6
საინფინრო გოლოგინური დასაპნა	8
განგარეხიტი ბარატი	12
საპროაქტო ბარინტორინა ქვეყნის სტრუქტურაში	18
საპროაქტო ბარინტორინის მდებარეობა ბაბუნინაში	19
საპროაქტო ბარინტორინაზა არსებული ჟულტურული მამაპინდრობის უქრავი ქავლავის მონაცემები	20
საპროაქტო ბარინტორინაზა არსებული აქოლოგინური მონაცემები	21
საპროაქტო ბარინტორინის ზოგადგოლოგინური რუბა	22
დრობიტი შუბლუდვავის რუბა	23
სამგანებლო და არასამგანებლო ბარინტორინების რუბა	24
გრგს არაალის ბოპროგოლოგინური რუბა	25
საპვლავი არაალის და საპროაქტო ბარინტორინის რუბა	26
საპვლავ არაალში რეგისტრაციების ასახვის რუბა	27
საპვლავ არაალში საბუთრების განსაზღვრის რუბა	28
დებალური რეგლამენტის დოკუმენტი	29
ფასადი გზისპირა ხაღიდან	30
პანორამული ხაღი საპროაქტო წინადაღების ჩვანებით	31
საპროაქტო მოცულობის მიწისპირა სართალის განშლა	31
პანორამული ხაღი საპროაქტო წინადაღების ჩვანებით	32
საპროაქტო ბარინტორინის მოპირღვარა მხარის არსებული განაშენიანების განშლა	32

ჰანოკრამული ხადი სავროქტო წინადადების ჩვენებით	33
არსებული შენობების სართულიანობის რუკა	34
სავროქტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ცნობადი შენობები	35
ფოტოფიქსაციის გეგმა	36
ზოგადი ფუნქციური ზონირების რუკა	39
ტერიტორიის ზოგადი ფუნქციური ზონირების რუკა	40
შენობის განთავსების სავროქტო არააღი	41
საბრუნავობო სქემა	42
ვერტიკალური გეგმარება	43
საბრუნავობო მომსახურების რუკა	45
ტერიტორიული ინფრასტრუქტურის რუკა	46
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება	47
სავროქტო ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ქირითადი და ლოკალური ქსელი	48
წყლის და ჰანალიზაციის არსებულ ქსელზე დაართების გეგმა	49
სავროქტო ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი აირით მომარგების ქირითადი და ლოკალური ქსელი	50
სავროქტო ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარგების ქირითადი და ლოკალური ქსელი	51

	დოკუმენტი	ავტორი/გამომცემი	შინაარსი	რეესტრი
1	ორგანული ჯანონი	საქართველოს პარლამენტი	ადგილობრივი თვითმმართველობის აქტების	N 1958-III, 05.02.2014წ
2	ჯანონი	საქართველოს პარლამენტი	წყლის შესახებ	N 936-IX, 16.10.1997წ
3	ჯანონი	საქართველოს პარლამენტი	სავაჭროდროშის გზების შესახებ	N 585, 11.11.1994წ
4	ჯანონი	საქართველოს პარლამენტი	საზღაო მოძრაობის შესახებ	N 1830-რს, 24.12.2013წ
5	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	განაშენიანების ძირითადი დებულებები	N 59, 15.01.2014წ
6	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	N 366, 24.12.2013წ
7	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ტექნიკური რეგლამენტის "შენიშვნა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამატების თაობაზე	N 41 28.01.2016წ
8	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	მგებლობის ებართვის გაცემის წესისა და საენებრო ვიზიტების შესახებ	N 57 24.03.2009წ
9	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ბაზრების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამატების თაობაზე	N 117 6.03.2018წ
10				

განაშენიანების რეგულირების გეგმა



მანქანის ტიპი	განი	ხელმოწერა	მისამართი:	მასშტაბი	ფურცლები	ფურცელი	ფურცლები
მანქანის ტიპი	სალონი ავტომობილი		ბორჯომის რაიონი, ღაბა ბაყალიძის ქ. არსებული მიწის ნაკვეთი		A3	1	51
თვითმობილი	ნაღებ ავტომობილი		სააღსრულო კოდი: 64.30.01.015, 64.30.07.035				
მანქანის ტიპი	სალონი ავტომობილი						

გამოყენებული სახელმძღვანელოები



KA020110957204217



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის  
**ბრძანება**

№ 1-1/587

29 / დეკემბერი / 2017 წ.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე  
მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი  
დავალების დამტკიცების შესახებ**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის  
„ტ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს დაბა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (მიწის  
უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.015.; 64.30.07.035;) განაშენიანების რეგულირების გეგმის  
თანდართული გეგმარებითი დავალება.

მუხლი 2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი  
დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

დimitრი ქუმსიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

დაბა ბაკურიანში „კობტას ძირი“ მიწის ნაკვეთებზე ს/კ 64.30.07.035; 64.30.01.015;  
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების

პროექტი

- დამკვეთი/მენაშენს განაცხადი: 27.10.2017. N13888/09
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები: 64.30.07.035; 64.30.01.015;
- გრგ-ს საპროექტოს ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 5031.00 მ<sup>2</sup>

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

1.	ტერიტორიის დახასიათება და ქალაქმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწის ნაკვეთი განთავსებულია ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, საერთო ფართობია 5031.00 კვ.მ</li> <li>• ტერიტორია თავისუფალია შენობა ნაგებობებისაგან. ნაკვეთი გარშემორტყმულია ტყით.</li> <li>• ტერიტორია თავისი ადგილმდებარეობით და ფართობით საშუალებას იძლევა დამუშავდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების რეგულირების გეგმით განისაზღვროს კონკრეტული ფუნქციური ზონები გეგმარებითი დავალებით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად.</li> </ul>
2.	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტერიტორიის რელიეფიდან და არსებული ნარგავების მდებარეობიდან განისაზღვროს ასალი შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და მათი მოცულობითი კომპოზიცია</li> <li>• კომპლექსი დაპროექტდეს ტერიტორიისთვის დადგენილ საზღვრებში.</li> <li>• იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ახალი შენობა ნაგებობისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, თითოეული მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადაშენების რეგულირების მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.</li> <li>• გამოყენებულ იქნას მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალა;</li> <li>• ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს შემდეგი გაანგარიშებით: ბინების შემთხვევაში 1 ბინაზე -1 ავტოსადგომი; სასტუმროს შემთხვევაში 2 ნომერზე- 1 ავტოსადგომი;</li> </ul>
3.	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან ამთი სივრცით გეგმარებითი მოწყობის შეცვლა.	<ul style="list-style-type: none"> <li>• განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით.</li> </ul>

2017 წ.

- საპროექტო ობიექტი - სასტუმრო და აპარტამენტების კომპლექსი;
- ობიექტის მისამართი ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი

4.	მოთხოვნები და იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა, ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, აუხედავობა და სხვა)	<ul style="list-style-type: none"> <li>• განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.</li> <li>• დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;</li> <li>• შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი ინდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებისას;</li> </ul>
5.	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები;	<ul style="list-style-type: none"> <li>• მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები (არსებობის შემთხვევაში); მათი გადარგვის ან მოჭრის შემთხვევაში შეთანხმებულ იქნას შესაბამის სამსახურებთან;</li> <li>• წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის სქემა;</li> <li>• გრგ-ს დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;</li> <li>• მიეთითოს ტერიტორიაზე ნაგვის უბნების განთავსების ადგილები;</li> <li>• გათვალისწინებული იქნას რელიეფის და განაშენიანების ხასიათი ბუნებრივ ლანშაფტთან თანაფარდობა და ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საინჟინრო ქსელი;</li> </ul>
6.	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინროკომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;	<ul style="list-style-type: none"> <li>• საპროექტო შენობის მოშენების კონტურები, მოცულობით-კომპოზიციური გადაწყვეტა განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით.</li> <li>• პროექტით გათვალისწინებულ იქნას ძირითად სატრანსპორტო ქსელთან მყარი კავშირები.</li> <li>• ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმატიული პარამეტრების მქონე შიდა სატრანსპორტო ქსელით. ტრანსპორტის, ფეხმავალთა გადაადგილებისთვის და სახანძრო-საავარიო მომსახურებისთვის.</li> <li>• განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნას შენობების უზრუნველყოფა საინჟინრო ინფრასტრუქტურით (წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები, ელექტრო ენერჯია, გაზმომარაგება, კავშირგაბმულობა);</li> </ul>

1.	მიწის ნაკვეთების ფართობი	5031.00 მ <sup>2</sup>		
2.	ტერიტორიის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1	0,3		
3.	ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2	-		
4.	ტერიტორიაზე შენობების მაქსიმალური სიმაღლე	11 მეტრი ფსადის სიმაღლე;		
5.	ტერიტორიის განმწვანების კოეფიციენტი კ3	0,3		
6.	ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები(წითელი ხაზები) ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები)	<p>ა) ბაკურიანი-მიტარბის შემაერთებელი გზის ორივე მხრიდან 6 მეტრი.</p> <p>ბ) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით,</p>		
7.	ა) ავტომანქანების ღია სადგომების რაოდენობა. ბ) ავტომანქანების მიწისქვეშა სადგომების რაოდენობა,	განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.		

8.	შენიშვნის მასშტაბური სართულიანობა	4 მიწისზედა სართული
----	-----------------------------------	---------------------

**განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი**

1. განაცხადი;
2. ტერიტორიის გრგ-ს რუკა გეგმარებითი დავალება,
3. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმა;
4. ზოგადი გეოლოგია;
5. გრგ-ს ტექნიკური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა,
6. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან 1:1000
7. ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ1:500
8. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ1:500 ან 1:1000: (არსებობის შემთხვევაში)
9. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი საჭიროების შემთხვევაში,
10. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან 1:1000
11. ფუნქციური ზონირების რუკა, არსებობის შემთხვევაში (არსებობის შემთხვევაში)
12. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯნვის სქემა)
13. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა, მ 1:500 ან მ1:1000,
14. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება მ 1:1000 ან მ 1:200 ან მ 1:500
15. მომიჯნავე ტერიტორიებზე გასატარებელი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი მ1:500 ან 1:1000 (საჭიროების შემთხვევაში)
16. საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ 1:500 ან მ 1:1000 (შაჭიროების შემთხვევაში)
17. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში)

**შენიშვნები:**

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები, ეკონომიკური განვითარების მინისტრის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების :ტექნიკური რეგლამენტის დასახლებათა ტერიტორიების

- გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნის შესაბამისად.
2. გრგ-ს საპროექტო დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნეს A3 ან A2 ფორმატის ალბომის სახით.
  3. ამ გეგმარებითი დავალების VI მუხლის 5-16 პუნქტებში მითითებული მასალები წარმოდგენილი იქნას ელექტრონული ვერსიის სახით CD დისკზე AutoCaD 2007-ის ან უფრო ახალი ვერსიის ფორმატში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38-ს.
  4. გრგ-ს წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Pover-Point-ის ან PDF დორმატში CD დისკზე.
  5. გრგ-ით მოცემული უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახულ უნდა იქნას:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები,
- მიწის ნაკვეთის საზღვრები,
- განაშენიანების რეგულირების ხაზები,
- შენობის მასშტაბური დასაშვები სიმაღლეები H
- მიწის ნაკვეთის განაწილების რუკა (გამიჯნვის სქემა)
- განაშენიანების კოეფიციენტი კ1
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2
- გამწვანების კოეფიციენტი კ3
- ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანე გზები და ავტოსადგომები,
- მითითებული იყოს გაბარიტული ზომები.

**დამატებითი მოთხოვნები**

1. საპროექტო ტერიტორიის გრგ-ს დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია დამკვეთმა ან დამპროექტებელმა შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.
2. წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან 5 წლის განმავლობაში.





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო  
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 64 30 07 035  
ბანცხალების რეგისტრაციის ნომერი: 882014030515  
მიწის ნაკვეთის ფართობი: 2000 კვ.მ.  
დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო  
კატეგორია:  
მოგზაურობის თარიღი: 24.01.2014



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 64.30.07.035

ამონაწერი საჯარო რეგისტრირებულ

განცხადების რეგისტრაცია  
N 882014098384 - 26/02/2014 11:24:34

მომზადების თარიღი  
26/02/2014 12:29:26

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი: საკუთრება
ბორჯომი	ლაბა ბაკურიანი			ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დაზუსტებული ფართობი: 2000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 64.30.07.022;
64	30	07	035	

მისამართი: რაიონი ბორჯომი, ლაბა ბაკურიანი, "ცეკაეშირის მიმდებარედ".

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882014098384, თარიღი 26/02/2014 11:24:34  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/02/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 26/02/2014, სსიპ "საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრები:  
კახა კალაძე, P/N: 01010001112

მესაკუთრე: ალწერა  
კახა კალაძე

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:  
რეგისტრირებული არ არის


ვალდებულება

ყადაღ/აკრძალვა:  
რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)



საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ ნიკოლოზის/ნ. მხედის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41  
ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1  
[www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)



ბანაშინიანების რეგულირების გეგმა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	მისამართი:	მასშტაბი	ფორმატი	ფურცელი	ფურცლები
მთავარი	სალომე აბულაძე		ბორჯომის რაიონი, ლაბა ბაკურიანი		A3	7	51
არამშენებელი			არსებული მიწის ნაკვეთი				
თვალმომწერი	ნუბარ ალვაძე		სააღსაბრო კოდი: 64.30.01.015, 64.30.07.035				
ამსრულავალი	ალენ ხაბიძი						

სააღსაბრო გეგმა და ამონაწერი

### ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადგენად

ობიექტის დასახელება – წინასაპროექტო დოკუმენტაცია სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის.

დამკვეთი – შპს „რიზორტი“.

ობიექტის მდებარეობა – ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი „ცეკავშირის“ მიმდებარედ (ს/კ 64.30.07.035 და 64.30.01.015).

დაპროექტების სტადია – წინასაპროექტო დოკუმენტაცია.

კომპლექსის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

მშენებლობის ტიპი – ახალი.

შენობების სართულიანობა – 6–7 სართულიანი.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა შედგენილი იქნეს თქვენს განყოფილებაში არსებული საარქივო მასალების საფუძველზე.

დასკვნა წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დავალება გასცა

თენგიზ წულაია

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა  
ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში (ს/კ 64.30.07.035 და 64.30.01.015) სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წინასაპროექტო დოკუმენტაციისთვის

შპს „ბაკურიანი რიზორტის“ დირექტორის – თენგიზ წულაიას დაკვეთით (ხელშ.№149/2018), შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2018 წლის სექტემბერში, შეადგინა საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განსათავსებელი ობიექტისთვის ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესაფასებლად. დასკვნა შედგენილია განყოფილების არქივში დაცული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალების გამოყენებით.

დასაპროექტებელი ობიექტის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს დაბა ბაკურიანში, „ცეკავშირის“ მიმდებარედ, დამრეცი დახრის ფერდზე.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 6–7 სართულიანი კომპლექსის აშენება, ფერდზე მორგებით (ტერასული განთავსებით). კომპლექსს გააჩნია სარდაფის სართულები.

გეომორფოლოგიურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთური დამრეცი დახრის ფერდის ფარგლებშია განთავსებული. ფერდის დახრილობა 10–14°-ის ფარგლებშია და მენხერი ნარგავებითაა (ფოთლოვანი, წიწვოვანი) წარმოდგენილი.

ბაკურიანის ჰავა მთის ნოტიოდან ზომიერად კონტინენტურისკენ გარდამავალია. ზამთარი ცივი და თოვლიანია, ზაფხული – ხანგრძლივი, თბილი.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, ბაკურიანის ძირითადი კლიმატური მონაცემებია:

- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –36°C;
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +31°C;
- ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში – 935 მმ;
- თოვლის საფარის წონა – 1,44 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი წელიწადში – 143;
- თოვლის საფარის წყალშემცველობა – 168 მმ;

- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –  $W_0=0,48$  კპა;
- ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 28 მ/წმ;
- ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 96 სმ (თიხოვანი გრუნტებისთვის).

განყოფილების არქივში დაცული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალების თანახმად, დაბა ბაკურიანის მოცემულ რაიონში გრუნტების ლითოლოგიური ტიპებიდან ძირითადად ორი სახესხვაობის გრუნტია გავრცელებული – თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი.

თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია დელუვიური გენეზისის ( $dQ_{IV}$ ) მუქი ყავისფერი თიხებით, ძირითადად ძნელპლასტიკური კონსისტენციით. თიხოვან გრუნტში, ჩანართების სახით, წვრილი ფრაქციის ღორღი და ხვინჯაა 15–25% შემცველობით. ალაგ-ალაგ აღინიშნება ღორღოვანი გრუნტის თხელი (0,2 მ-მდე) შუაშრეები და ლინზები.

მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია, ასევე დელუვიური გენეზისის ღორღოვანი გრუნტით (სხვადასხვა ფრაქციის ღორღი), თიხა-თიხნარების არაკანონზომიერი შემავსებლით (30–45%).

დასახელებული გრუნტებიდან უპირატესი გავრცელებით სარგებლობს თიხოვანი გრუნტი, ღორღოვანი გრუნტი ძირითადად გავრცელებულია ჭრილის ქვედა ნაწილში 8–10 მ სიღრმიდან.

დასახელებული გრუნტების ჯამური სიმძლავრე, საარქივო მონაცემებით აღემატება 15 მ-ს.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღსანიშნავია შემდეგი:

გრუნტის წყლის სარკის გამოჩენა მოსალოდნელია 3–4 მ სიღრმიდან, თიხოვანი გრუნტის ფენაში (მცირე მოდენით). თოვლის დნობის პერიოდში (აპრილი-მაისი) მოსალოდნელია ე.წ. „ზედა წყლების“ ფორმირება – დროებითი ჰორიზონტის გაჩენა (თოვლის ინტენსიური დნობისას, წყლები ვერ ასწრებს სიღრმეში ფილტრაციას და იწვევს გრუნტის გაჯერებას). წლის მშრალ პერიოდში მოსალოდნელია „ზედა წყლების“ გაქრობა და სიღრმეში (3–4 მ) სტაბილური ჩამოყალიბებული დონის შენარჩუნება.

ჰიდროგეოლოგიური პირობების ასეთი რეჟიმი დამახასიათებელია მთიანი და მთისწინა რაიონებისთვის.

საარქივო მასალების თანახმად, გრუნტის წყალი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს და საძირკვლის მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს წყალშეუღწევადობის მიხედვით ნებისმიერი ( $W_4-W_6-W_8$ ) მარკის ბეტონები.

განხილულის საფუძველზე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს:

1. საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, შვავი, ჯდომადი ან ჯირჯვადი გრუნტები) არ აღინიშნება და ამ თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებშია. არახელსაყრელია ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები – გრუნტების პერიოდული გაწყლიანება ხელშემშლელი გარემოა დასახული პროექტის რეალიზებისას (მიწისქვეშა სართული) და მოითხოვს გარკვეული ღონისძიების გატარებას (რეკომენდაცია იხ. ქვემოთ).

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია, დასახელებული არახელსაყრელი ჰიდროგეოლოგიური ფაქტორის მხედველობაში მიღებით, მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. ტერიტორიის ლითოლოგიურ ჭრილში შეიძლება გამოიყოს ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სბმ**):

**I სბმ** – თიხოვანი გრუნტი;

**II სბმ** – მსხვილნატეხოვანი (ღორღოვანი) გრუნტი.

3. დასაპროექტებელი ობიექტისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ორივე **სბმ**-ს გრუნტი.

საძირკვლის ტიპებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩვეულებრივი საძირკვლები – ლენტური (ურთიერთგამკვეთი ლენტური ან ფილა).

**შენიშვნა:** თიხოვანი და ღორღოვანი გრუნტების არაკანონზომიერი მონაცვლეობისას, შეიძლება გამოყენებული იქნეს საკომპენსაციო ბალიში – ფენობრივად (ან ვიბროდამტკეპნი მექანიზმით) შემკვრივებული სრეშ-კენჭნაროვანი საბალასტო გრუნტი.

4. ქვემოთ ცხრილში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ლითოლოგიურ ჭრილში მოსალოდნელი გრუნტების (თიხოვანი, ღორღოვანი) საორიენტაციო მახასიათებლები, მიღებული საარქივო მასალების საფუძველზე და საცნობარო ლიტერატურის („დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარი“, „ტექნიკოს-გეოლოგის ცნობარი“) გამოყენებით.

№ №	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები	
		თიხოვანი I სბმ	ღორღოვანი II სბმ
1	სიმკვრივე, $\rho$ გ/სმ <sup>3</sup>	1,85–1,93	1,95
2	ხვედრითი შეჭიდულობა, $c$ კპა (კგ/სმ <sup>2</sup> )	35–40(0,35–0,40)	5–10(0,05–0,10)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, $\varphi^{\circ}$	14–16	35–38
4	დეფორმაციის მოდული, $E$ მპა (კგ/სმ <sup>2</sup> )	12–13(120–130)	40–45(400–450)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$ კპა (კგ/სმ <sup>2</sup> )	230–250(2,3–2,5)	350–400(3,5–4,0)
6	საგების კოეფიციენტი, $k$ კგ/სმ <sup>3</sup>	2,5–3,0	6,0–8,0
7	პუასონის კოეფიციენტი, $\mu$	0,35–0,42	0,27
8	ბეტონის გრუნტთან ხახუნის კოეფიცი. $f$	0,25–0,35	0,45–0,50
9	ფილტრაციის კოეფიციენტი $k_{ფ}$ მ/დღ.დ.	<0,01	<0,01

5. ფენობრივად შემკვრივებულ სრემ-კენჭნარის საბალასტო გრუნტზე დეფორმაციის მოდული შეიძლება მიღებული იქნეს –  $E=40$  მპა (400 კგ/სმ<sup>2</sup>), ხოლო პირობითი საანგარიშო წინაღობა –  $R_0=350$  კპა (3,5 კგ/სმ<sup>2</sup>).

6. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების მხედველობაში მიღებით, დასაპროექტებელი კომპლექსის დასახული პროექტის რეალიზაციისთვის აუცილებელი იქნება სათანადო ღონისძიებების გათვალისწინება (ჰიდრო-იზოლაცია, დრენაჟი).

7. ვინაიდან დასაპროექტებელი კომპლექსი განთავსებული იქნება დამრეცი ფერდის ფარგლებში, ატმოსფერული ზედაპირული ჩამონადენი წყლებისგან დასაცავად, უნდა მოეწყოს ბეტონის ზეარხი. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების დამუშავებისას, შესაძლოა საჭირო გახდეს

საყრდენი კედლის მოწყობა. ასეთ შემთხვევაში, საყრდენი კედელი და ზეარხი განიხილება ერთ კონსტრუქციულ ღონისძიებად.

8. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, დაბა ბაკურიანი 8 ბაღიანი სეისმურობის ზონაშია.

ტერიტორიაზე გავრცელებული თიხოვანი გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით – II–III (დაზუსტდება დასაპროექტებელი ობიექტის სამუშაო დოკუმენტაციის სტადიაზე, ფორიანობის კოეფიციენტის და დენადობის მაჩვენებლის განსაზღვრისას).

**შენიშვნა:** ფერდის დახრილობა არ აღემატება 15°-ს და დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არის.

9. საძირკვლების ამოღებისას შეიძლება საჭირო გახდეს წყალქცევითი სამუშაოების (ამოტუმბვა) ჩატარება (სამუშაოების წლის გარკვეულ პერიოდთან დამოკიდებულებაში). წყლის საორიენტაციო მოდენი ქვაბულის ყოველი მ<sup>2</sup>-დან ან თხრილის გრძივი მეტრიდან მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

10. ქვაბულის ფერდობის ან თხრილების მაქსიმალური დასაშვები ქანობები გრუნტებისთვის განისაზღვროს სნ და წ 3.02.01-87-ის პ პ 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

- ა) თიხოვანი გრუნტი (ფენა I) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბუდლოზერით, ხელით) დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1850–1930 კგ/მ<sup>3</sup> (რიგ. №8<sup>ბ</sup>);
- ბ) ღორღოვანი გრუნტი – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – II ჯგუფს, ბუდლოზერით და ხელით – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ<sup>3</sup> (რიგ. №39<sup>ბ</sup>).



## განმატრებიტი ბარათი

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა და პროექტი დამუშავებულია კერძო დაკვეთით და მიზნად ისახავს ტერიტორიის გეგმარებით და სამართლებრივ მომზადებას სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე სასტუმროს კომპლექსის (სასტუმროს ნომრების; სპორტულ-გამაჯანსაღებელი სექტორის და მასთან არსებული დამხმარე სივრცეების; კაფე-ბარს; რესტორანს; საბანკეტო და საკონფერენციო დარბაზის; სპა და ფიტნეს დარბაზების) მშენებლობის განხორციელებისთვის. ასევე საპროექტო არეალის ფარგლებში მდებარე სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა გაჯანსაღებას; დაგეგმილი კომპლექსის სრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას.

**განაშენიანების რეგულირების გეგმა** - ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. გრგ ალბომი შედგება ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციისგან, რომლის შემადგენლობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები სრულად შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას.

გრგ შემუშავების საფუძველია გეგმარებითი დავალება და დამკვეთის ტექნიკური დავალება.

გრგ ტექსტური ნაწილი შედგება: აღწერისგან, განმარტებითი ბარათისგან, ეფექტიანობის შეფასებისგან, ეტაპებისა და რიგითობის აღწერისგან.

გრგ გრაფიკული ნაწილი შედგება: ზონირების ნაწილისგან, თემატური ნაწილებისგან და საინჟინრო ნაწილისგან.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორია რომლის არეალში დღეს მოქმედია ორი რეგისტრაცია (#64.30.07.035 და 64.30.01.015) მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში „ცეკავშირის მიმდებარედ“. თავისი მდებარეობით საპროექტო ლოკაცია წარმოადგენს დაბა ბაკურიანის საკურორტო ზონის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მონაწილეობს დასახლების მიმდებარედ არსებულ რეკრეაციული სივრცის განშლაში. აეროგადაღების მონაცემებზე დაყრდნობით საპროექტო არეალის მიმდებარედ ბოლო წლებში იმატა ანალოგიური ფუნქციური სახეობების მქონე შენობების მშენებლობამ.

## დაგეგმვის საჭიროება

დამკვეთს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც ასევე მოქმედებს ორივე საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის სახელით. მესაკუთრების მიერ დაგეგმილია სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის განხორციელება. აღნიშნული საჭიროებს ტერიტორიის განვითარების ხედვის შეჯერებას და სამშენებლოდ მომზადებას - დაგეგმვას საპროექტო კომპლექსის სრულყოფილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გათვალისწინებით.

საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, უნდა განვითარდეს ერთ სექტორად, რომელზეც განთავსდება ერთი ოთხ სართულიანი სასტუმროს მოცულობა.

## დამკვეთის მოთხოვნები:

- გეგმარებითი დავალების შესაბამისად განსაზღვრული სამშენებლო პარამეტრების გათვალისწინებით, დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსების არეალის და სხვა ტექნიკურ-სამართლებრივი ასპექტების გადაწყვეტა. მოქმედი ზონირების ცვლილება და საპროექტო ფუნქციური ზონების დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციური სახეობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.


- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რელიეფის მაქსიმალური შენარჩუნება და გაჯანსაღება.

- დასაგეგმარებელ ობიექტებთან დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება

. საპროექტო კომპლექსისი მაღალი კლასის ხარისხობრივი მაჩვენებლების და მისი ფუნქციური სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამკვეთის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, აქედან გამომდინარე ახალი საპროექტო ობიექტების გაბარიტული მაჩვენებლები, სრულად შეესაბამება 2016 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავრობის 41 დადგენილების მოთხოვნებს.

## დაგეგმვის მიზნები და ამოცანები

1. გამომდინარე დამკვეთის ტექნიკური დავალებიდან და მოთხოვნებიდან, გრგ მიზანია სასტუმროს კომპლექსის განვითარებისთვის საპროექტო ტერიტორიის ერთიანი სივრცით-გეგმარებითი გააზრება და საპროექტო მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები #64.30.07.035 და 64.30.01.015)) განაშენიანების რეგულირება. საპროექტოდ შერჩეული სახეობების მოთხოვნებიდან გამომდინარე მიწათსარგებლობის გეგმით დადგენილი ქვეზონების ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ს, საცხოვრებელი ზონა 5-თ (ისე, როგორც ეს იყო განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით) და განვითარების ხედვის შესაბამისად დაზუსტებული ქვეზონების გავრცელება.



განაშენიანების რეგულირების გეგმა							
თანხმდებელი	გვარი	ხელმოწერა	მისამართი:	მასშტაბი	ფორმატი	ფურცელი	ფურცლები
საპროექტო	სალომე აბლიანი		ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანში არსებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით: 64.30.01.015, 64.30.07.035		A3	12	51
შეამოწმა	აღმა ხაბიძისძე						
განმარტებითი ბარათი							

2. საზოგადოებრივი და დასასვენებელი სახეობის შესაბამისი ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ს განვითარების მიზანშეწონილობის შეფასების ძირითადი განმასზღვრელია:

- სატრანსპორტო მისადგომობა.
- გზებისა და ქუჩების გამტარუნარიანობა.
- სამშენებლო განვითარების საკმაოდ დიდი რესურსი (მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმროს და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო განვითარების პრეცედენტი, უკვე პრაქტიკულად დაინერგა მითითებულ საკურორტო ზონში).


3. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში საკურორტო ქალაქები და დასახლებები, ძირითადად ფუნქციონირებს სეზონურად, სადაც განაშენიანების ყველაზე მოთხოვნად სახეობად ჩამოყალიბდა - სასტუმრო ან სასტუმროს ტიპის აპარტამენტები. შესაბამისად დღის წესრიგში დგება, უშუალოდ აღნიშნული საპროექტო ლოკაციის, მეტად მოთხოვნადი ფუნქციური დანიშნულებით განვითარება. აღნიშნული დასახლების საკარკასო სივრცეზე გამომავალი ნაკვეთების მსგავსად, სასურველია ამავე ნაკვეთზეც საზოგადოებრივ-დასასვენებელი სახეობის შესაბამისი ფუნქციის განვითარება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად მოთხოვნილი გვაქვს შემდეგი საგამონაკლისო ღონისძიება: რადგან შერჩეული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მკვეთრად რეკრეაციული მახასიათებლების მქონე გარემოში, სადაც მწვანე სივრცის დიდი მასივი ზენორმირებულად აბალანსებს დაბალი ინტენსივობის განვითარების შესაძლებლობას, საპროექტო კონცეფციის გასანვითარებლად ვითხოვთ გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული პარამეტრების სრულად ათვისებას. განაშენიანების კოეფიციენტს  $k=0,3$ -ს; ხოლო საპროექტო მოცულობის 15 მეტრიანი სიმაღლის სრულად ათვისების შესაძლებლობას.

4. საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, უნდა გაერთიანდეს ერთ სექტორად, რომელზეც განთავსდება სასტუმროს ერთი ოთხსართულიანი მოცულობა.

შენიშვნა: საინჟინრო ნაწილში კომუნალური ქსელების სქემები გრგ ფარგლებში მოწოდებულია სქემატური სახით და პროექტირების დეტალურ ეტაპზე შესაძლოა განიცადოს კონკრეტული ქსელის კონფიგურაციის ცვლილებები. აღნიშნული მომზადდება ცალკეული შენობების არქიტექტურული პროექტის შედგენის ფარგლებში, ლიცენზიანტ კომპანიასთან შეთანხმებული ტექნიკური პირობების და სამშენებლო დოკუმენტის პროექტების საფუძველზე. ვინაიდან ამ ეტაპზე შენობების სავარაუდო სიმძლავრეები უცნობია გაზის კომუნიკაციის კუთხით, თუმცა ცნობილია ქსელების ძირითადი ტრასები (კომუნიკაციის არხების განთავსების სამართლებრივი ადგილები), რაც ასახულია საინჟინრო ნაწილში, როგორც არსებული ისე საპროექტო სქემების სახით.

**დაგეგმვის ამოცანებია:**

- შენობის განთავსების რეგულირება: საპროექტო არეალის და შენობის გაბარიტული მახასიათებლების განსაზღვრა, გეგმარებითი დავალების პირობის თანახმად განსაზღვრული რეგულირების ხაზის და დადგენილი სიმაღლის შეზღუდვის დაცვის ფარგლებში;
- სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება;
- სრულყოფილი დასასვენებელი გარემოს დაგეგმარება სასტუმროს კომპლექსის ფუნქციონირებისთვის;
- დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი ფუნქციის ორგანიზებისთვის გათვალისწინებულია დახურული საცურაო აუზის და მრავალპროფილიანი სპორტული დარბაზის მოწყობა. მითითებული ინფრასტრუქტურით სარგებლობას შეძლებენ უშუალოდ დასაგეგმარებელი კომპლექსის დამსვენებლები.
- ნაკვეთის სამშენებლო განვითარების კონცეფციაში, ასევე გადაწყვეტ როლს თამაშობს მის საზღვრებს გარეთ მოქცეული მკვეთრად რეკრეაციული მახასიათებლების მქონე რელიეფი და საკურორტო ზოლის ლანდშაფტი, რომელიც უხვად დატვირთულია მრავალწლიანი ნარგავებით და თავისი მასით აბალანსებს წარმოდგენილი პროექტით და მიმდებარედ დაგეგმილი განაშენიანების კონცეფციას. დამკვეთის სურვილია საპროექტო მოცულობის ძირითადი ფასადის და დასაგეგმარებელი სასტუმროს ნომრების სწორედ აღნიშნულ რეკრეაციულ სივრცეზე ორიენტირება. საპროექტო მოცულობის წარმოდგენილი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა, მაქსიმალურად ხაზს გაუსმევს დაბა ბაკურიანის ამ მონაკვეთის მნიშვნელოვან თავისებურებებს და უფრო ცნობადს გახდის მითითებულ სივრცეს, რომელიც დღეს საკმაოდ არაკეთილმოწყობილი და მოუწესრიგებელია;
- საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქუჩის პირას. შესაბამისად, საკმაოდ დიდი მონაკვეთით ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს. ნაკვეთის დასავლეთით არსებული დაურეგისტრირებელი არეალი, ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივ სივრცედ, რადგან რეგისტრაციის არ ქონის მიუხედავად, ეს კონკრეტული ლოკაცია მოიაზრება კერძო საკუთრებად (იხ. დასაბუთების 26,27 გვ). საზოგადოებრივი სივრცეების განსაზღვრა და შენობის სიმაღლის მაჩვენებლის დაანგარიშება, გათვალისწინებულია ქუჩიასპირა საზოგადოებრივი სივრციდან. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი ხასიათდება რთული რელიეფით (ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს თითქმის 15 მეტრს). შესაბამისად სიმაღლის დაანგარიშებაც ხდება საპროექტო მოცულობის ნიადაგთან შეხების ნიშნულებიდან (იხ. დასაბუთების 31 გვ ).



განაშენიანების რეგულირების გეგმა							
თანხმდობა	გვარი	ხელმოწერა	მისამართი:	მასშტაბი	ფორმატი	ფურცელი	ფურცლები
აღმკვეთი	სალომე აბლიანი		ბურჯანაძის რაიონი, დაბა ბაკურიანი		A3	13	51
თანაპირი	ნათა ალვაი		საქალაქო ადრესი: 64.30.01.015, 64.30.07.035				
შეკრულავალი	ალენა ხაპიშვილი						
განმარტებითი ბარათი							

სწორედ აღნიშნული გარემოება დადებითად მუშაობს ახალი საპროექტო მოცულობის ლანდშაფტზე განთავსების ნაწილში. დასაბუთების ვიზუალიზაციიდან (ფოტოფიქსაცია და ფოტომონტაჟებიდან) ნათლად ჩანს, რომ შენობა მაქსიმალურად მორგებულია არსებულ რელიეფს. ის ჩასმულია საკმაოდ საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტილების ხერხით, ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების სრული შენარჩუნების და მათ მიმართ კანონით განსაზღვრული 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის პირობით. საპროექტო მოცულობა მორგებულია მიმდებარე განაშენიანების განშლის პანორამულ ხედს, რაც თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი ობიექტით გაჩენის ხარჯზე, ემსახურება საკურორტო განაშენიანების უკვე დანერგილი წყობის შენარჩუნებას და მის განვითარებას.

- მესაკუთრების მიერ დაგეგმილია სასტუმროს კომპლექსის მშენებლობა. ასევე მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე ფუნქციების განვითარება. აღნიშნული საჭიროებს ტერიტორიის განვითარების ხედვის შეჯერებას და სამშენებლოდ მომზადებას - დაგეგმვას. საპროექტო არეალის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული სახეობის ფუნქციონირებისთვის საჭირო, ტურისტების სამარშრუტო ავტობუსის მისადგომობის ჩამოყალიბება.

- ავტოსადგომების რაოდენობის კუთხით, გეგმარებით დავალებაში დაფიქსირებული მითითების თანახმად, შერჩეული სახეობის განსავითარებლად განსაზღვრულია ორ სასტუმრო ნომერზე ერთი ავტოსადგომის მოწყობა. (საპროექტო ნაკვეთზე მოსაწყობი ღია ავტოსადგომებისთვის გათვალისწინებულია 400 კვ.მ-ს გამოყოფა, რომელზეც განთავსდება 29 მანქანის გასაჩერებელი ადგილი. დანარჩენი 22 მანქანების ავტოსადგომები მოეწყობა შენობის შიდა სივრცეში) რეგლამენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე სასტუმროს კომპლექსის განვითარება ხასიათდება რიგი პრიორიტეტული თავისებურებებით მიმდებარედ არსებული ქუჩათა ქსელის გამტანუნარიანობაზე. მსგავსი საზოგადოებრივი ობიექტების სამშენებლო განვითარება საგრძნობლად განტვირთავს საკურორტო ზონაში, სეზონურად შექმნილ რთულ ვითარებას საპარკინგე ინფრასტრუქტურის ნაკლოვანების თვალსაზრისით, რადგან საცხოვრებელი ფუნქციისგან განსხვავებით, პრაქტიკულად არ საჭიროებს ტერიტორიამდე მისასვლელ გზაზე დამატებითი პარალელური პარკირების შესაძლებლობის გაჩენას.

**დაგეგმვის ძირითადი არსი**

საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა:


საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ორ რეგისტრაციას, რომლის ჯამური ფართობია 5031 კვ.მ. მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში „ცეკავშირის მიმდებარედ“. ის წარმოადგენს რელიეფური ზედაპირის მქონე სივრცეს, რომელიც ძველი აეროგადაღების მიხედვითაც აქტიურად გამწვანებულია. დღევანდელი მდგომარეობით, ტერიტორია გაუნაშენიანებელია.

აეროგადაღების მონაცემების შესწავლისას, ვიზუალურად ჩანს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო არეალის მიმდებარე სივრცეც ჯერ არ არის აქტიურად განაშენიანებული.

აღნიშნული საპროექტო ტერიტორია XX საუკუნეში წარმოადგენდა, საკურორტო დასასვენებელი დასახლების რეკრეაციულ ნაწილს, სადაც ჩვენს საკვლევ არეალში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მკვეთრად იმატა სასტუმროს და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ. ამ ტერიტორიის დასავლეთით არსებული დაბა ბაკურიანის ძირითადი დასახლება განაშენიანებულია სოფლის ტიპის დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით. საპროექტო ლოკაციიდან აღნიშნულ განაშენიანებულ სივრცეს ყოფს დღეს უკვე საკუთრებაში მყოფი რეკრეაციული სივრცე - მოლი, რომელიც დამტკიცებულ რუკებზე ფიქსირდება, არასამშენებლო სივრცის სტატუსით.

არსებული კვლევების საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემას ცალსახად განაპირობებს ლანდშაფტის ისეთი სისტემამარფოლოგიური ელემენტები, როგორცაა ტყით დაფარული მთის მასივები ღრმა და ვიწრო ხეობებით მდინარის კალაპოტების გაყოლებაზე. სწორედ ამ გეოგრაფიულ ელემენტებში თავს იყრის დასახლებები და მათი ფუნქციონირებისთვის გაყვანილი საინჟინრო - საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ამიტომ ისტორიულად ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახლება იმთავითვე დაიწყო არსებული ხეობების ფარგლებში. რომელმაც დღეს უკვე მიიღო გეგმარებითი კარკასის სტატუსი.

